საქართველოს მთავრობის

დადგენილება №91

2024 წლის 19 მარტი

ქ. თბილისი

„ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №82 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, 300160070.10.003.021791) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის X დანართის („ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა №1“) პირველი – მე-3 გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.	**რესპირატორი**	რესპირატორული დამცავი ნიღბები შეცვლადი ფილტრებით	9020 00 100 00
		რესპირატორული მოწყობილობა სახის დამცავი ნიღბით	
		აირებისგან დამცავი რესპირატორული მოწყობილობები	9020 00 900 00
		რესპირატორული აღჭურვილობები – დაივინგისთვის	
		ნაწილაკების მფილტრავი რესპირატორული დამცავი პირბადეები (გარდა სამედიცინო, ქირურგიული პირბადეებისა)	6307 90 930 00 6307 90 950 00
2.		თვალის ინდივიდუალური დამცავი ფარები და სათვალეები	

	თვალისა და სახის დაცვა		9004 6506 10 3926 90 600 00
		თვალის ინდივიდუალური დამცავი შემდუღებლისთვის	
		ულტრაიისფერი გამოსხივებისგან დამცავი სათვალეები	
		სათხილამურო დამცავი სათვალე	
		დამცავი სათვალეები მოტოციკლეტისა და მოპედისთვის	
		თოვლმავალის მართვის დროს დამცავი სათვალეები	
		მზის კაშკაშისაგან დამცავი სათვალეები სამრეწველო გამოყენებისათვის	
		ლაზერული გამოსხივებისაგან დამცავი სათვალეები	
3.	**სმენის დამცავი საშუალებები**	ხმაურის დონის გარდამქმნელი სმენის დამცავი ყურსაფარები	8518 30 000 09
		სმენის დამცავი ყურსაფარები ელექტრო-აუდიო გადამცემით	8517 62 000 00. “.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 26 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**